დანართი N1

„ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამების" ფარგლებში დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისში ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამების ფარგლებში დროებითი საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტის გამოვლენას.

2. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

1. ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში, ისეთი პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების, მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობას, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

2. განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის.

4. დროებითი კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. დროებითი კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრებისაგან.

4. დროებითი კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

5. კომისიის თავჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

6. დროებითი კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

7. დროებითი კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

8. დროებითი კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დროებითი კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. დროებითი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს.

11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი